სს „თელიანი ველი”-ს
ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის გადაწყვეტილება

2019 წლის 4 აპრილს სს „თელიანი ველი“-ს (ს/კ: 203855444) (შემდგომში **„საზოგადოება“**) 75.77%-იანი აქციონერის - სს „საქართველოს კაპიტალი“-ს (ს/კ: 404549690) (შემდგომში – **„აქციონერი“**) მიერ, რომელიც წარმოდგენილია მისი გენერალური დირექტორის ირაკლი გილაურის (პ/ნ: 01024005565) მიერ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები ქვემოთ მითითებულ საკითხებზე.

ვინაიდან, „აქციონერი“ ფლობს სს „თელიანი ველის“-ის ჩვეულებრივი აქციების და შესაბამისად, ხმების 75%-ზე მეტს, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54.1[1] მუხლისა და სს „თელიანი ველის“-ის წესდების 7.1.2 პუნქტის თანახმად, წინამდებარე გადაწყვეტილება აქციონერთა საერთო კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. სს „თელიანი ველი“-ს ნებადართული (განცხადებული) კაპიტალის გაზრდის შესახებ;
2. სს „თელიანი ველი“-ს ახლადემიტირებულ აქციებზე უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების შესახებ;

<u>„აქციონერის“ მიერ მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:</u>

1. გაიზარდოს „საზოგადოების“ ნებადართული (გაცხადებული) კაპიტალი და განისაზღვროს 12,000,000 (თორმეტი მილიონი) ლარით. შევიდეს ცვლილება სს „თელიანი ველი“-ს წესდებაში და დამტკიცდეს წესდების ახალი რედაქცია. კერძოდ, შეიცვალოს წესდების 3.1. და 3.2. პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

   ,,3.1 ,,საზოგადოების“ განცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება 12,000,000 (თორმეტი მილიონი) ლარით.

   ,,3.2 საზოგადოების“ საწესდებო კაპიტალი დაყოფილია 1,200,000,000 (ერთი მილიარდ ორასი მილიონი) ჩვეულებრივ აქციად. ერთი ჩვეულებრივი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 0.01 ლარს. ,,საზოგადოების“ აქციონერთა საერთო კრებაზე თითოეული ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას.“
2. „საზოგადოების“ დირექტორის მოხსენების საფუძველზე, „საზოგადოების“ კაპიტალის გაზრდისა და ახალი შენატანების ეფექტურად განხორციელების მიზნით, „საზოგადოების“ ნებადართული (განცხადებული) კაპიტალის ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოშვებულ აქციებზე გაუქმდეს უპირატესი შესყიდვის უფლება. უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმებასთან ერთად, დადგინდეს ის მინიმალური ფასი, რომელზე ნაკლები ოდენობითაც დაუშვებელია ახალი აქციების ემისია აქციონერთა კრების გადაწყვეტილების გარეშე. კერძოდ, ამგვარ მინიმალურ ფასად დადგენილ იქნეს ის ფასი, რომლითაც განხორციელდა „საზოგადოების“ მიერ აქციათა ბოლო ემისია.

„აქციონერი“-ს სახელით:

ირაკლი გილაური

სს „საქართველოს კაპიტალი“-ს

გენერალური დირექტორი

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2019.04.11 16:49:36 +04'00'